

რეგისტრირებულია

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს


2003 წლის # 971 ბრძანებით

ცვლილებები რეგისტრირებულია

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს

2013 წლის # 26 აქტის ბრძანებით

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს



მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანება

„ეროვნულ დემოკრატიული მოძრაობა“

წესდება

თბილისი

2013 წელი

თავი პირველი

ზოგადი დებულებანი

- 1.1. მოქალაქეთა პლოტიკური გაერთიანება „ეროვნულ დემოკრატიული მოძრაობა“ (შემდგომში პარტია) არის მოქალაქეთა ნებაყოფილობითი პოლიტიკური გაერთიანება.
- 1.2. პარტიის სახელია „ეროვნულ დემოკრატიული მოძრაობა“, ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება (პარტია), შემოკლებული სახელი (აბრევიატურა) ედემ-ი.
- 1.3. პარტია მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.
- 1.4. პარტია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე.
- 1.5. პარტია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი და აქვს განკერძოებული ქონება.
- 1.6. პარტიის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, ლერმონტოვის ქ. # 1/17. ტელ. 293 27 95.
- 1.7. პარტიის ელექტრონული ფოსტის მისამართია: levan.chkheidze@yahoo.com

თავი მეორე

პარტიის მიზანი

2.1. პარტიის მიზანია:

სახელმწიფოს დემოკრატიული აღმშენებლობა.

სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და დაცვა.

ადამიანის უფლებების დაცვა.

საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველყოფა.

მოქალაქეთა მიერ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციის ხელშეწყობა.

კანონის წინაშე თანასწორობისა და თავისუფლების უზრუნველყოფა.

თავისუფალი მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა

საქართველოს ძლიერ სახელმწიფოდ დამკვიდრება, სტაბილური განვითარების უზრუნველყოფა და საერთაშორისო თანამეგობრობაში ინტერესთა ურთიერთპატივისცემასა და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული ურთიერთობების ჩამოყალიბება.

საქართველოს ინტეგრაცია ევროატლანტიკურ სივრცეში.

2.2. პარტია თავის მიზნებს ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, არჩევნებში მონაწილეობით, სემინარებისა და კონფერენციების ჩატარებით, მასმედით, ბეჭდვითი სიტყვისა და სხვა საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით.

პარტია თავის პოლიტიკურ მრწამსად აღიარებს ქრისტიან-დემოკრატიულ იდეოლოგიას.

თავი მესამე

პარტიის წევრობა

3.1. პარტიის წევრი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე თვრამეტი წლის ასაკიდან, რომელიც აღიარებს პარტიის წესდებას, პროგრამას და იხდის საწევრო შენატანს.

3.2. მოქალაქეს პარტიის წევრად იღებს პარტიის მთავარი კომიტეტი. წევრად მიღების პროცედურასა და წევრთა აღრიცხვის წესს ადგენს პარტიის მთავარი კომიტეტი. პარტიის წევრობის მსურველი წერილობითი განცხადებით მიმართავს პარტიის მთავარ კომიტეტს. პარტიის მთავარი კომიტეტი პარტიის წევრად მიღების საკითხს წყვეტს განცხადების შემოსვლიდან არა უგვიანეს 1 თვისა. პარტიაში გაწევრიანების საკითხის გადაწყვეტამდე წევრობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს პარტიის 2 წევრის წერილობითი რეკომენდაცია.

3.3. პარტიის წევრს უფლება აქვს:

ა) აირჩიოს და აირჩიონ პარტიის ნებისმიერ ორგანოებში.

ბ) დაასახელოს პარტიის მიერ ასარჩევი კანდიდატურა.

გ) მიმართოს პარტიის ნებისმიერ ორგანოს წინადადებით, განცხადებით, საჩივრით და გონივრულ ვადაში მიიღოს მასზე პასუხი.

დ) მონაწილეობა მიიღოს პარტიაში მის წევრობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში.

ე) მონაწილეობა მიიღოს პარტიის ეგიდით გამართულ ღონისძიებებში.

3.4. პარტიის წევრი მოვალეა:

ა) დაიცვას პარტიის წესდება.

ბ) მონაწილეობა მიიღოს პარტიის საქმიანობაში.

გ) აქტიური მონაწილეობა მიიღოს პარტიის საარჩევნო კამპანიაში.

დ) მონაწილეობა არ მიიღოს პარტიის პოლიტიკური კურსის საწინააღმდეგო საქმიანობაში, ყველა ვითარებაში დაიცვას პარტიის ღირსება.

ე) თავისი მოქმედებით არ დაუშვას პარტიის დისკრედიტაცია.

ვ) დადგენილი წესითა და ოდენობით გააიხადოს საწევრო შესატანი.

3.5. წესდებით გათვალისწინებული მოვალეობის შეუსრულებლობისთვის პარტიის წევრს შეიძლება დაეკისროს პარტიული სასჯელი. სასჯელის დადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და მის ზომას განსაზღვრავს მთავარი კომიტეტი. პარტიაში დაწესებულია შემდეგი სახის პარტიული სასჯელები: ა) გაფრთხილება, ბ) პარტიიდან გარიცხვა.

3.6. პარტია კისრულობს მორალურ და პოლიტიკურ პასუხისმგებლობას თავისი წევრის მხოლოდ იმ მოქმედებაზე, რომელიც დაკავშირებულია პარტიულ საქმიანობასთან.

თავი მეოთხე

პარტიის სტრუქტურა

4.1. პარტიის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს იურიდიული პირის უფლების გარეშე დადგენილი წესით ქმნის და აუქმებს მთავარი კომიტეტი.

4.2. პარტიაში შეიძლება შეიქმნას რეგიონალური, მუნიციპალური, საქალაქო, სადაბო, სასოფლო ორგანიზაცია და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფები. პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფების შიდა ორგანიზაცია და საქმიანობა რეგულირდება მთავასრი კომიტეტის მიერ დამტკიცებული პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულების საფუძველზე.

4.3. პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფი ვალდებულია თავისი საქმიანობა წარმართოს პარტიის კურსის შესაბამისად.

თავი მეხუთე

პარტიის ყრილობა

5.1. პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა ყრილობა, რომელსაც იწვევს პარტიის თავმჯდომარე 4 წელიწადში ერთხელ.

5.2. პარტიის რიგგარეშე ყრილობას იწვევს თავმჯდომარე:

ა) საკუთარი ინიციატივით.

ბ) მთავარი კომიტეტის წევრთა 4/5-ის მოთხოვნით.

გ) პარტიის წევრთა საერთო რაოდენობის სულ ცოტა ერთი მეოთხედის მოთხოვნით.

5.3. რიგგარეშე ყრილობა ტარდება მოთხოვნიდან ერთი თვის ვადაში წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგით და იხურება მისი ამოწურვისთანავე.

5.4. ყრილობაზე დელეგატების არჩევის წესს ადგენს მთავარი კომიტეტი.

5.5. ყრილობა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ მას ესწრება წევრთა (დელეგატების არჩევის შემთხვევაში დელეგატთა) ნახევარზე მეტი.

5.6. ყრილობა გადაწყვეტილებას იღებს წევრთა (დელეგატების არჩევის შემთხვევაში დელეგატთა) ნახევარზე მეტის ხმათა უმრავლესობით. გარდა წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.7. ყრილობა:

ა) ისმენს მის მიერ არჩეული ორგანოების ანგარიშებს და აფასებს მათ.

ბ) დამსწრე წევრთა (დელეგატების არჩევის შემთხვევაში დელეგატთა) ნახევარზე მეტის ხმათა უმრავლესობით ცვლილება შეაქვს პარტიის წესდებაში, რაც ექვემდებარება სათანადო წესით რეგისტრაციას.

გ) განსაზღვრავს პარტიის პოლიტიკური პლატფორმის ძირითად მიმართულებებს,

დ) ოთხი წლის ვადით, წევრთა (დელეგატების არჩევის შემთხვევაში დელეგატთა) ნახევარზე მეტის ხმათა უმრავლესობით ირჩევს თავმჯდომარეს, გენერალურ მდივანს, მთავარ კომიტეტს და სარევიზიო კომისიას.

ე) უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პარტიის ნებისმიერ სხვა ორგანოს გამგებლობაში მყოფ საკითხზე, გააუქოს ან შეცვალოს მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

5.8. ყრილობის გადაწყვეტილება სავალდებულოა პარტიის ყველა წევრის, ორგანოსა და სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის.

თავი მეექვსე

მთავარი კომიტეტი

6.1. ყრილობებს შორის პარტიაში აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს მთავარი კომიტეტი, რომელიც აირჩევა ღია კენჭისყრით 4 წლის ვადით არანაკლებ 5 წევრის შემადგენლობით. აქედან პარტიის თავმჯდომარე ავტომატურად იკავებს მთავარი კომიტეტის წევრის ადგილს ხოლო მთავარი კომიტეტის დანარჩენი (არანაკლებ 4) წევრი აირჩევა ყრილობის მიერ.

6.2. მთავარი კომიტეტი:

ა) შეიმუშავებს პარტიის სამოქმედო გეგმას, წინასაარჩევნო და სტრატეგიული მნიშვნელობის სხვა დოკუმენტებს, უზრუნველავს ყრილობის გადაწყვეტილებების შესრულებას.

ბ) იღებს გადაწყვეტილებებს პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფების შექმნისა და გაუქმების შესახებ, ამტკიცებს მათ დებულებებს.

გ) უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი.

დ) პარტიის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებში წარსადგენს კანდიდატებს.

ე) შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის წარდგინებით ამტკიცებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებში პარტიის მიერ წარსადგენ კანდიდატურებს.

ვ) უფლებამოსილია გააუქმოს პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფის გადაწყვეტილება.

ზ) საჭიროების შემთხვევაში პარტიის თავმჯდომარის წარდგინებით ქმნის კომისიებს და ნიშნავს მათ თავმჯდომარეებს.

თ) პარტიის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს პარტიის ადმინისტრაციის სტრუქტურას და მისი სამსახურის ხელმძღვანელებს.

ი) უფლებამოსილია მოიწვიოს პარტიული და თემატური კონფერენციები.

კ) ასრულებს ამ წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

6.3. მთავარი კომიტეტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის უმრავლესობა. გადაწყვეტილება მიღება დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება თავმჯდომარის ხმას.

6.4. მთავარი კომიტეტის გადაწყვეტილება სავალდებულოა პარტიის წევრებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფებისათვის.

6.5. მთავარი კომიტეტის სხდომა მოიწვევა 2 თვეში ერთხელ მაინც. მთავარი კომიტეტის რიგგარეშე სხდომას იწვევს პარტიის თავმჯდომარე თავისი ინიციატივით ან მთავარი კომიტეტი წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედის მოთხოვნით. სხდომა ტარდება მოთხოვნიდან 48 საათში.

6.6. მთავარი კომიტეტის თითოეულ წევრს განესაზღვრება კონკრეტული ფუნქციები პარტიული საქმიანობის ცალკეული მიმართულებათა შესაბამისად და ისინი პირადად არიან პასუხისმგებელნი მთავარი კომიტეტის წინაშე.

6.7. მთავარი კომიტეტის წევრს უფლება აქვს გადადგეს. თუ მთავარი კომიტეტის შემადგენლობაში ყრილობის მიერ არჩეულ წევრთა ნახევარზე მეტი აღარ დარჩა, ერთი თვის ვადაში ჩატარდება რიგგარეშე ყრილობა ახალი მთავარი კომიტეტის ასარჩევად.

6.8. მთავარი კომიტეტის წევრის პარტიის წევრობიდან გარიცხვის საკითხს წყვეტს მთავარი კომიტეტი. გარიცხულ წევრ ავტომატურად უწყდება მთავარი კომიტეტის წევრის უფლებამოსილება.

კარი მეშვიდე

პარტიის თავმჯდომარე

7.1. პარტიის თავმჯდომარე პარტიის უმაღლესი თანამდებობის პირია. იგი მოქმედებს პარტიის ყრილობის, მთავარი კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

7.2. პარტიის თავმჯდომარე:

ა) იწვევს და ხელმძღვანელობს მთავარი კომიტეტის სხდომებს.

ბ) არის პარტიის წარმომადგენელი მესამე პირებთან და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობაში. ცალკეულ შემთხვევაში ნიშნავს თავის წარმომადგენლებს და განსაზღვრავს მათი უფლებამოსილების ფარგლებს.

გ) მთავარ კომიტეტს დასამტკიცებლად წარუდგენს პარტიის ადმინისტრაციის სტრუქტურას, ნიშნავს და დასამტკიცებლად წარუდგენს მისი სამსახურების ხელმძღვანელებს.

დ) აკეთებს პოლიტიკურ განცხადებებს პარტიის სახელით.

ე) გამოსცემს განკარგულებებს.

ვ) ხელს აწერს მთავარი კომიტეტის გადაწყვეტილებებს და განცხადებებს.

ზ) ხელს აწერს პარტიის საარჩევნო დოკუმენტაციას.

თ) ასრულებს წესდებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებას.

7.3. პარტიის თავმჯდომარეს უფლებამოსილება შეუწყდება უფლებამოსილების ვადის გასვლის, გადადგომის, გადაყენების ან გარდაცვალებისას.

თავი მერვე

გენერალური მდივანი

8.1. გენერალური მდივანი ხელმძღვანელობს პარტიის მთავარი კომიტეტის მიერ შექმნილ სტრუქტურულ ქვედანაყოფების (როგორც ცენტრალური ისე ადგილობრივი) კოორდინირებულ საქმიანობას.

8.2. გენერალური მდივანი თავისი საქმიანობით პასუხისმგებელია პარტიის ყრილობის და თავმჯდომარის წინაშე.

- 8.3. გენერალურ მდივანს ირჩევს პარტიის ყრილობა 4 წლის ვადით.
- 8.4. ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას მისი არყოფნის შემთხვევაში.
- 8.5. თავმჯდომარესთან შეთანხმებით წარმოადგენს პარტიას სახელმწიფო ორგანოებთან და შესაბამის პირებთან ურთიერთობაში.
- 8.6. თავმჯდომარესთან შეთანხმებით ხელს აწერს ოფიციალურ (მათ შორის საარჩევნო) დოკუმენტაციას.

თავი მეცხრე

სარევიზიო კომისია

- 9.1. სარევიზიო კომისიას სამი წევრის შემადგენლობით ირჩევს ყრილობა. სარევიზიო კომისიას ხელმძღვანელობს მისი თავმჯდომარე, რომელსაც თავისი შემადგენლობიდან ირჩევს კომისია.
- 9.2. სარევიზიო კომისია აკონტროლებს პარტიის წევრებისა და ორგანოების მიერ პარტიის წესდების დაცვას, პარტიის საფინანსო საქმიანობას და თავის დასკვნებს წარუდგენს შესაბამის პარტიულ ორგანოს.
- 9.3. სარევიზიო კომისია შემოწმების შედეგების საფუძველზე შეიმუშავებს და შესაბამის პარტიულ ორგანოს წარუდგენს დადგენილებებს პარტიის ორგანიზაციული საქმიანობის გაუმჯობესებისა და საკადრო ცვლილებების შესახებ.
- 9.4. სარევიზიო კომისიის გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია სულ ცოტა ორი წევრის თანხმობა.
- 9.5. სარევიზიო კომისია ვალდებულია თავისი დასკვნა გააცნოს მთავარ კომიტეტს და იმ ორგანოს ან წევრს, რომელსაც იგი ეხება.
- 9.6. სარევიზიო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პარტიის სხვა ორგანოს წევრი.
- 9.7. სარევიზიო კომისია ანგარიშვალდებულია მხოლოდ პარტიის ყრილობის წინაშე.
- 9.8. პარტიის სარევიზიო კომისიის წევრს უფლება აქვს დაესწროს პარტიის ნებისმიერ ორგანოს სხდომას. მოთხოვნის შემთხვევაში აღნიშნული ორგანოები ვალდებული არიან მოუსმინონ მას.

თავი მეთათე

პარტიის სიმბოლიკა

10.1. პარტიის დროშაა: შუაზე გაყოფილი მართკუთხედი, მარჯვენა მხარეს შინდისფერ ფონზე გამობატული ოქროსფერქიანსი, თეთრი მონოცეროსი, მარცხენა მხარეს თეთრ ფონზე გამობატული შინდისფერი ჯვარი.

10.2. პარტიის ლოგოა შინდისფერ ფარზე გამობატული ოქროსფერქიანსი თეთრი მონოცეროსი.

10.3. პარტიის ბეჭედზე გამოსახულია მონოცეროსი, პარტიის საიდენტიფიკაციო კოდრი 206138062 და წარწერა: მ.პ.გ. „ეროვნულ დემოკრატიული მოძრაობა“ და ინგლისურად C.P.U. „National Democratic Movement“

10.4 პარტიის ტიტულური ფურცელზე მარჯვენა მხარესაა წარწერა, მ.პ.გ. „ეროვნულ დემოკრატიული მოძრაობა საქართველო, თბილისი, ლერმონოვის ქ 1/17 0105 ტელ 293 27 95. შუაში პარტიის ლოგო, მარცხნივ წარწერა ინგლისურ ენაზე C.P.U. „National Democratic Movement“ Lermontov st. # 1/17 Tbilisi, Georgia 0105, Phone 293 27 95

თავი მეთერთმეტე

პარტიის ფინანსები

11.1 პარტიის ფინანსური წყაროებია: სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა, საწევრო შენატანები, ნებაყოფილობითი შემოწირულობანი, კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობით მიღებული სხვა შემოსავლები.

11.2. პარტიის ფულად სახსრებს მთავარი კომიტეტის გადაწვეტილებების შესაბამისად განკარგავს პარტიის თავმჯდომარე.

თავი მეორმეტე

პარტიის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

12.1. მხოლოდ პარტიის ყრილობაა უფლებამოსილი დამსწრე წევრთა (დელეგატების არჩევის შემთხვევაში დელეგატთა) 2/3-ით:

ა) მოახდინოს პარტიის რეორგანიზაცია.

ბ) მოახდინოს პარტიის თვითლიკვიდაცია.

12.2. პარტიის საქმიანობის შეწყვეტა შესაძლებელია აგრეთვე კანონით დადგენილ სხვა შემთხვევაშიც.

12.3. პარტიის ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის შემდგომ დარჩენილი ქონება ნაწილდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მ.პ.გ. „ეროვნული დემოკრატიული მოძრაობის“

მდივანობა

თბილისი

2